

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტებზე: „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი კანონპროექტების მიზანია ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროსა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა აკლიბებს კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ მიმართულ მთელ რიგ სამართლებრივ მექანიზმებს, თუმცა, ეს უკანასკნელი ვერ ამოწურავს ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროსა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოს ხელთ არსებულ რეალურ ბერკეტებს და ბოლომდე ვერ ასახავს ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებას.

დღესდღეობით სხვადასხვა სახის გაერთიანებთა პარალელურად ქვეყანაში მოქმედებენ გარკვეულ წესებზე დაფუძნებული ორგანიზებული დაჯგუფებები, რომელთა საქმიანობის მიზნების და შეთოდებისა შესწავლისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩამყალიბებული პრაქტიკის განსოგადების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული დაჯგუფებები მოლიანობაში წინააღმდეგობას უწევენ „ქურდულ სამყაროს“. ამ უკანასკნელის არსებობა არსებითად ეწინააღმდეგება განვითარებად საფეხურზე მდგომი სახელმწიფოსა და სასოგადოებრივ ინტერესებს და, შესაბამისად, „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ყალიბდება.

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში მოცემულია „ქურდული სამყაროს“ და მასთან დაკავშირებული ცნებების („ქურდული სამყაროს წევრის“, „ქურდული გარნევის“ და „კანონიერი ქურდის“) დეტალური დეფინიცია „ქურდული სამყაროს წევრის“ ცნების ჩამოყალიბებისას ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიაზე, როგორცაა აქტიური მოქმედება ქურდული სამყაროს მიზნების შესაბამისად.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიზანია „ქურდული სამყაროსა“ და მისი წევრების სტატუსის განმსაზღვრელ ნორმებთან საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. ეს უკანასკნელი აწესებს „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ კრიმინალიზაციას საკმაოდ გამკაცრებული საჩიკები.

წარმოდგენილი პროექტებით გათვალისწინებულია შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

აღნიშნული ცვლილებების მიზანია ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებულის პირის მიმართ იმ საპროცესო ნორმების გაერყელება, რომლებიც დადგენილია რეკეტისა და ბრალდებულ თანამდებობის პირების მიმართ და

ჩამოწვეული კატეგორიის პირთა სტატუსის ერთიან სამართლებრივ რეჟიმში
ქმედვა გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლებრივი კოდექსში გახატარებული
ქვეყნობები ითვალისწინებს ქვეყნული სამართლის წესებზე უკანონო და
ავსადუიებელი ქონების ჩამორთმევის სამართლებრივი პროცედურის
ფრცველვას.

წარმოდგენილი პროექტების შიგნით არ იწვევს დამატებით საფინანსო-
ონომიკურ დაზარალებას.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.